

ხოზის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

ხოზის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს.

2018 წლის 1 იანვრიდან, ხოზის მუნიციპალიტეტის მერია ფუნქციონირებს 8 სამსახურის მეშვეობით, ესენია:

1. ადმინისტრაციული სამსახური;
2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
3. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური;
4. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
5. კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
6. შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
7. წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;
8. შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

მერიის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №67 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 8 მილიონ 346 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 8 მილიონ 346 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ყველა საჭირო დანართებით და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა 6 ცვლილება.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მერია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეშვეობით.

სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილების საფუძველზე ხორციელდება მონიტორინგი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ათვისების საკითხებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში, ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 66 ათასი ლარი. აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება და პრივატიზება. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში შემოსულია 411 ათასი ლარის, ხოლო ფიზიკური პირებიდან 22.7 ათასი ლარის ოდენობით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ იურიდიული პირებიდან 116900 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან 28.8 ათასი ლარი შეადგინა.

წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობის სფეროში მთავარ პრობლემას აზიური ფაროსანას გავრცელების არეალის შემცირება და მოსავლიანობა წარმოადგენდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ორგანოებისა და მერიის კოორდინირებული მუშაობის შედეგად კარგი შედეგი მივიღეთ. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში თერმული ნისლის ტექნოლოგიით და „ცივი შესხურების“ მეთოდით შეიწამლა ცენტრალური და შიდა სასოფლო გზების, ქუჩების, ჩიხების მიმდებარე ტერიტორიები და საყანე ფართობები. მუნიციპალიტეტში ორი ერთეული ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი მუშაობდა, რომლებზეც დამონტაჟებული იყო შესაბამისი აგრეგატები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე აზიური ფაროსანას გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ტყის პერიმეტრზე, ბუფერულ ზონებში, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, დამონტაჟდა 60 ათასამდე „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური.

საანგარიშო წელს გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მავნებლის გავრცელების არეალი და შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით ბევრად უკეთესი მოსავალი მოიწია მოსახლეობამ.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსდა 24 პროექტი (160350 ლარი), ხოლო მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით ორ კოოპერატივს გადაეცა 160 ერთეული სკა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის ENPARD-ის (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის) მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“ ფარგლებში საგრანტო დაფინანსება მიიღო ოთხმა კოოპერატივმა; მნიშვნელოვანი პროექტია „დანერგე მომავალი“, რომელიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ დაფინანსება და გააშენონ მრავალწლიანი კულტურები. პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით ოთხმა მეწარმემ 48 ჰექტარზე გააშენა ბაღი.

მერიაში ფუნქციონირებს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებით კომისიაში, სულ შემოვიდა 645 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 197 განცხადება და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა. მომავალი წლიდან იგეგმება არამართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების კიდევ უფრო გამარტივება, რაც ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ძალიან ბევრ მოსახლეს მიეცემა შესაძლებლობა დაიკანონოს მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამ სფეროში, მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ძირითადი დატვირთვა ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

2018 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით 9 თვის მდგომარეობით შესრულებულია 3,33 მილიონი ლარის სამუშაო (მათ შორის 1,2 ლარის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით), კერძოდ:

1. ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 320,00 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 195,2 ათასი);
2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საკვიკვინიოს უბანში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა) - 1308.0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 319,4 ათასი ლარი);

3. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა) - 1369,9 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 505,5 ათასი ლარი);
4. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 160,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 72,0 ათასი ლარი);
5. საგვიჩოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა) - 586,6 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 29,3 ათასი ლარი);
6. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა (ცემენტბეტონი) - 301,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 15,1 ათასი ლარი);
7. შუა ხორგის, ქარიატის და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენი ქსელის მოწყობა - 302,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 16,0 ათასი ლარი);
8. ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები - 225,1 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება 73,41 ათასი ლარი);

2018 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (როგორც საამშენებლო ასევე საპროექტო) დაფინანსდა 653,6 ათასი ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 1,38 მილიონი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, კერძოდ:

1. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები 6,5 ათასი ლარი;
2. ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის ახალ კორპუსში 2 ცალი წყლის გამაცხელებლის (მზის ენერჯიაზე მომუშავე) შემენისა და დამონტაჟების სამუშაოები - 4,3 ათასი ლარი;
3. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 8,1 ათასი ლარი;
4. ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 11,9 ათასი ლარი;
5. ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა 150,0 ათასი ლარი.
6. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 138,8 ათასი ლარი.
7. საინჟინრო კვლევების და ექსპერტიზის მომზადება 13,0 ათასი ლარი.
8. ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები 8,3 ათასი ლარი.
9. ქალაქ ხობში კულტურის სახლის წინ მდებარე სკვერის სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 0,15 ათასი ლარი;
10. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით (ადგილობრივი ბიუჯეტი) განსახორციელებელი სამუშაოები - 1,5 მილიონი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტარდება კულტურულ-სანახაობრივი და შემოქმედებითი ღონისძიებები. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, კულტურის სახლში ჩატარდა „ქართული ხმებისა“ და თბილისის ბიგ-ბენდის ერთობლივი კონცერტი. ღონისძიებამ ადგილობრივი მაცურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

საინტერესოდ მიმდინარეობს კვლევები მუნიციპალიტეტის წარსულის და ძეგლების შესწავლის კუთხით. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის 3 აგვისტოს N02/47 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე რვა ობიექტს - ხეთის ციხეს, ზემო ბიის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას, ზემო ქვალონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, გაღმა საჯიჯაოს ციხესა და ზენის ციხეს (საჯიჯაო), ყურუმულიას ციხე-ჯიხას, მაჩხომერის ციხეს (პირველი მაისი) და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლს (ძველი ხიბულა) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

მნიშვნელოვანი აქტივობით გამოირჩევა სპორტის სფერო. სისტემატურად ტარდება ტურნირები, შეჯიბრებები, სასკოლო ოლიმპიადები ფეხბურთში, ლელობურთში, ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ნარდსა და ბილიარდში.

ხობი ცნობილი იყო სახელოვანი სპორტსმენებით და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება - ჩვენ გვყავს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები. სპორტსმენთა წარმატება დაკავშირებულია მაღალი დონის ინფრასტრუქტურასთან. ქალაქ ხობში შენდება მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსი. ასე, რომ უახლოეს პერიოდში ხობს რეგიონის მასშტაბით გამორჩეული სპორტული ინფრასტრუქტურა ექნება.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა, 2018 წელს 482140 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი - 445900 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი - 36240 ლარით.

სოციალური პაკეტით ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიაში შემოვიდა 800 განცხადება. საკითხის შესწავლის შემდეგ, 416 მოქალაქეზე გაიცა 40500 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარების სახით, 174 ავადმყოფზე გაიცა 119000 ლარის საგარანტიო წერილი;

132 ახალშობილზე გაიცა 20300 ლარი, აქედან: პირველ და მეორე ბავშვზე - 100 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით, თითოეულზე - 300 ლარი, ასეთი იყო 71 ახალშობილი;

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 65000 ლარით, სადაც დღეში 1-ჯერ იკვებება 120 ბენეფიციარი;

უმწეო კატეგორიის 160 ოჯახს, წყლის საფასურის სუბსიდირებისთვის ჩაერიცხა 6319 ლარი;

სოციალურად დაუცველ 15 ოჯახზე, სახლების სარეაბილიტაციოდ გაიცა 31500 ლარი;
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 5 ბავშვზე (0-18 წლამდე) გაიცა 2494 ლარის
თანადაფინანსების საგარანტიო წერილი;

დიალიზზე მყოფი 14 მოქალაქის სატრანსპორტო ხარჯის ასანაზღაურებლად
გადაირიცხა 8800 ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 11 ოჯახს ჩაერიცხა 20324 ლარი;

როგორც მოგეხსენებათ საქართველოში ფუნქციონირებს „ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის
პროგრამა, რომელიც ინფიცირებულებს შესაძლებლობას აძლევს სრულად განიკურნონ და
დაუბრუნდნენ ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ადგილობრივმა თვითმმართველობამ საზოგადოების აზრის გაათვალისწინებით
სოციალური დახმარების მუნიციპალურ პროგრამას „ც“ ჰეპატიტით ინფიცირებულთა
პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსების კომპონენტი დაამატა.

„დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა
ცენტრმა“ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხობის მუნიციპალიტეტში
ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის და „ც“ ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მიზნით
საპილოტე პროგრამა განახორციელა. მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა
ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის და „ც“ ჰეპატიტის ანალიზი უფასოდ ჩაეტარებინა.
ჯამში, გამოკვლევა ჩატარდა 8500 მოქალაქეს. გამოკვლევებმა აჩვენა რომ
ინფიცირებულთა მაჩვენებელი მაღალია.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით
გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2234
კერძო სექტორში ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივი
მოსახლეობის მსგავსად, თანაბრად სარგებლობენ სოციალური დახმარების და ჯანდაცვის
მუნიციპალური პროგრამებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში
ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამას ახორციელებს. პროგრამა
ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და მისი
ბიუჯეტი 36240 ლარს შეადგენს. სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ
ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობა საექიმო და ექიმამდელი დახმარებას
იღებს. აღნიშნული პროგრამით 1800-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი
უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს
მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების
უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის
ორგანიზება. რომელსაც მერია ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო
აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მეშვეობით. სამსახური
უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე
აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში
გაწვევას, მობილიზაციასა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული
საკითხების გადაწყვეტას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა 2001 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 192. შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია.

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს მერიის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა მერიაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობას სამართლებრივი უზრუნველყოფა, მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მერიის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის ადრე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

ჩვენი მიზანია ყველა დასახლებაში იყოს გზა, სპორტული მოედნები, ამბულატორიები და საბავშვო ბაღები კეთილმოწყობილი. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, არ დავიშურებთ დროსა და ენერგიას. მე, მჯერა ხოზის მუნიციპალიტეტის ხვალისდელი დღე იქნება უკეთესი. ჩვენ, მოსახლეობის თანადგომით განვახორციელებთ მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულ პროექტებს.

გოჩა ქაჯაია

ხოზის მუნიციპალიტეტის მერი

2018 წლის 1 ნოემბერი